



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 01

2020 წლის 17 იანვარი


ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მუშაობის ყოველწლიური ანგარიშის
ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 47-ე მუხლის და „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №07 დადგენილების 77-ე მუხლის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მუშაობის ყოველწლიური ანგარიშის ფორმა, დანართი N1 შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივნისის N58 განკარგულება.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნათელ ვარშავიშე